

საქართველოში გავრცელებული გვარ  
იორდასალამის (**Paeonia** L.) სახეობათა სისტემატიკა  
და ბიოეკოლოგია

საბაკალავრო ნაშრომი

აბესაძე გურამი

ხელმძღვანელები: შამილ შეთეკაური, ასოცირებული პროფესორი

ნინო ერაძე, სოფლის მეურნეობის დოქტორი

თბილისი 2013.

## შესავალი

ჩვენი საბაკალავრო ნაშრომი ეხება საქართველოში გავრცელებული გვარ იორდასალამის სისტემატიკასა და ბიოეკოლოგიურ ანალიზს. საკვლევ ობიექტს წარმოადგენდა თბილისის ბოტანიკური ბაღის ცოცხალი ფლორის განყოფილება. აღნიშნული განყოფილების ცოცხალი ფლორის კოლექციებში თავმოყრილია გვარ იორდასალამის საქართველოში გავრცელებული ყველა სახეობა.

## კვლევის მეთოდика

თბილისის ბოტანიკური ბაღის ცოცხალი ფლორის განყოფილების საკოლექციო ნაკვეთზე, იორდასალამის სახეობებზე ჩვენს მიერ დაკვირვება ხდებოდა ყოველ 10 დღეში. დაკვირვება ითვალისწინებდა თითოეულ სახეობის აღმოცენების, ბუტონიზაციას, ყვავილობის და ნაყოფობის პერიოდების შესწავლას. ფენორითმიკის თითოეული ფაზის დაფიქსირება ხდებოდა ფოტოაპარატით, რომელიც მოცემულია საბაკალავრო ნაშრომში.

მცენარეთა რკვევას და სხვა ბიოეკოლოგიური მონაცემების შეგროვებას ვახდენდით საქართველოს ფლორის მე-2 გამოცემის I I ტომის მიხედვით (1973, გვ.8-20) და საქართველოს მცენარეთა სარკვევის I ტომის მიხედვით (1964, გვ.61-62).

# PAEONIACEAE RUDOLPI

## იორდასალამისებრნი

### 1. ოჯახის დახასიათება

ყვავილი აქტინომორფულია, ორმაგი ყვავილსაფრით. ჯამის ფოთლები ფოთლისებრია, ძლიერ არათანაბარი და როგორც გვირგვინის ფურცლები სპირალურადაა განლაგებული. მტვრიანა მრავალია თავისუფალი. ბუტკოები თავისუფალია, 2-5 (10) რაოდენობით; ნასკვი ზედაა, დინგი ბრტყელია, ხორცოვანი და შეფერილი. ნაყოფი ფოთლურასებრია ჯერ ხორცოვანი, შემდეგ ძლიერ გახევებული გარეთა პერიკარპიუმით. თესლი ხორცოვანი დანამატიტაა (არილუსი); თესლკვირტის გარეთა ინტეგუმენტი შიგნითაზე გრძელია.

დიდი ზომის მრავალწლოვანი მცენარეები ან ბუჩქებია (ზოგიერთი იაპონური და ჩინური სახეობა), მორიგეობითი ორმაგ-სამმაგ განკვეთილი ფოთლებით.

**შენიშვნა.** ოჯახი Paeoniaceae-ს დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ გერმანელმა ბოტანიკოსებმა რუდოლფიმ და ბარტლინგმა 1830წ. დაადგინეს და მოიყვანეს „Ordo“-ს სახელწოდებით; ინგლისელმა ბოტანიკოსმა ვურსდელმა 1908წ. პირველად ოჯახის სახელწოდება იხმარა. საბჭოთა ბოტანიკოსებიდან ამ შეხედულებას კემულარია-ნათამის გარდა (1948-1958) იზიარებს ტახტაჯიანი (1952-1954) და იაკოვლევი (1955); ტახტაჯიანი და იაკონელი ბოტანიკოსი ნაკაი (1966) ამ ოჯახს განცალკევებულ რიგში განიხილავენ. უმრავლესობა კი მას ქვეოჯახის ან ტრიბის სახით ბაიასებრთა ოჯახს უქვემდებარებენ; მაგრამ გარდა მორფოლოგიური ნიშნებისა, ანატომიურმა, ციტოლოგიურმა, ემბრიოლოგიურმა, ბიოქიმიურმა მონაცემებმა და ბოლოს მტვრის მარცვლის შესწავლამ ცხადყო მისი ცალკე ოჯახად გამოყოფის სისწორე (იხ. კემულარია-ნათამე, 1958,1963,1966).

ოჯახი წარმოდგენილია ერთი გვარით და 45 სახეობით, რომელიც გავრცელებულია კავკასიაში, აზიის, ევროპის და ჩრდილო ამერიკის მთიან ქვეყნებში.

### 2. გვარი 1 Paeoniae L. - იორდასალამის სარკვევი

#### ტრიბი 1. Paeoniae (Benth. Et Hook.) Kem.-Nath.

ყვავილი მარტოულია, დიდი ზომის; ჯამის ფოთლები ნაყოფობისას დიდხანს არ ცვივა, ფოთლისებრია, ხშირად ჯამის ქვედა ფოთოლი ზედა ლეროსეული ფოთლების ნაკვეთების მსგავსია; გვირგვინის ფურცლები დიდი ზომისაა, ყვითელი, მოთეთრო-მოყვითალო, მეწამული

წითელი, წითელი ან ვარდისფერი. მტვრიანა მრავალია, თავისუფალი, მტვრიანას ძაფები თავისუფალია, გრძელი, შეფერილი; სამტვრეები ყვითელი ან ნარინჯისფერია. ნასკვი შიშველია ან ქეჩისებრ შებუსვილი. ნაყოფი დიდი ზომისაა. მოგრძო, ირიბად გადახრილია ან ქვევით დაკიდებული, უფრო იშვიათად მოკლეა, კვერცხისებრი ან ოვალური, თითქმის სწორია; თესლი ხორცოვანია, შავი, მოლურჯო-შავი ან წითელი. მტვრის მარცვლები თითქმის სფეროსებრია, სამდარიანია, თითოეული ღარის შუაში ფორისებრი ზონით; ეგზინის ზედაპირი თითქმის სადაა, წერილბადისებრი მოხატულობის; მტვრის მარცვლების დიამეტრი 28-48 მიკრონია.

შენიშვნა. გვარი *Paeonia* მონოგრაფის სტერნის (Stern, 1956) მონაცემებით მოიცავს 45 ტაქსონს (ქვესახეობების და სახეობების ჩათვლით).

კავკასიაში იზრდება ამ გვარის 12, ხოლო საქართველოში 9 სახეობა. ამათგან 7 შეიძლება ენდემურ სახეობად ჩაითვალოს.

1. ფოთლები განკვეთილია ვიწრო ხაზურ-ლანცეტა, ხაზურ ან თითქმის ძაფისებრ ნაკვეთებად. ნასკვი და ნაყოფი ყოველთვის შებუსვილია. ნაყოფი მოკლეა და ოდნავ გადახრილია ან თითქმის სწორმდგომია . . 2

- ფოთლები განკვეთილია ფართო (უკუკვერცხისებრი, კვერცხისებრი, ოვალური) კიდემთლიან ნაკვეთებად. ნასკვი და ნაყოფი შიშველია ან შებუსვილია. ნაყოფი გრძელია განზე ძლიერ გადახრილი ან თითქმის დაკიდებული.

2. ფოთოლი ორმაგ-სამმაგ ფრთისებრ განკვეთილია ან დაყოფილია ვიწრო ლანცეტა 5-10 მმ საგნის ნაკვეთებად. ყვავილი დიდი ზომისაა, მოწითალო-ვარდისფერი . . . . . 8. **P. Majko** Ketzch.

- ყვავილი მეწამული ფერისაა ან მუქი წითელი, უფრო პატარა ზომისაა. ფოთოლი მრავალჯერაა განკვეთილი ვიწრო ხაზურ ნაკვეთებად. . . 3

3. ყველა ფოთლის ნაკვეთი ერთნაირია, ვიწრო ხაზური, 1-2 მმ საგნის. გვირგვინის ფურცელი ოვალურია, ნასკვის და ნაყოფის შებუსვა ჩვეულებრივ წითელია.. . . . . 10. **P. tenuifolia** L.

- ქვედა ფოთლების ნაკვეთები უფრო ფართოა, ვიდრე ზედა ფოთლების, 2-3 მმ სიგანის. გვირგვინის ფურცლები ძირში ჩვეულებრივ სოლისებრ შევიწროებულია. ნასკვი და ნაყოფი მორუხო-მოყვითალო შებუსვითაა. . . . . 9. **P. carthalinica** Ketzch.

4. ყვავილი წითელია, მეწამული წითელი ან ვარდისფერი. ნასკვი და ნაყოფი ყოველთვის ქეჩისებრ შებუსვილია. . . . . 5

- ყვავილი ყვითელია, ბაცი ყვითელი, მოყვითალო-თეთრი ან ოდნავ მოვარდისფრო-მოყვითალოა. ნასკვი და ნაყოფი შიშველია ან ქეჩისებრშებუსვილი. . . . 7

5. ფოთოლი ორივე მხარზე მწვანეა, პრიალა, შიშველი ან ქვედა მხარეზე მოკლე მონაცრისფრო შებუსვითაა; ფოთლის ნაკვეთები მოკლე ყუნწითაა, მოკლე და ფართო, ოვალური ან თითქმის რომბისებრია, ორივე ბოლოში მოკლედ შევიწროებულია. გვირგვინის ფურცლები

მოვარდისფრო-მოწითალოა, ოდნავ ჩაზნექილია; მტვრიაების ძაფები და დინგი ხორცისებრ წითელია. . . . . 5. **P. rprechtiana** Kem.-Nath.

ფოთოლი ზედა მხრიდან მწვანეა, ქვედა მხარე ან ორივე მხარე ლეგაა, შიშველია ან ქვედა მხარეზე შებუსვლია. . . . . 6

6. ყვავილი ვარდისებრია, ფართოდ გადაშლილი. ფოთოლი მოგრძო ელიფსურია, ორივე ბოლოში მოკლედაა შევიწროვებული, თითქმის ბლაგვი წვერით. . . . . 7. **P. Lagodechiana** Kem.-Nath.

- ყვავილი წითელია, მეწამული წითელი, ფართოდ გადაშლილი არ არის. ფოთოლი უხეშია, მკვეთრად გამოხატული მთავარი ძარღვით. . . . . 6. **P. caucasica** N. Schipcz.

7. ნასკვი და ნაყოფი შიშველია; დინგი მკვეთრად გამოხატული გრძელი სვეტითაა. . . . 8- ნასკვი და ნაყოფი ქეჩისებრი შებუსვითაა; დინგი თითქმის მჯდომარეა. . . . . 9

8. ყვავილი ფართოდაა გადაშლილი, გვირგვინის ფურცელი მოყვითალო-თეთრია, უკუკვერცხისებრია. ფოთოლი ორივე მხარეზე თითქმის ერთი ფერისაა, მწვანე, ხშირად ზედა მხარე პრიალაა, შიშველია ან ქვედა მხარე შებუსვლი და მონაცრისფეროა, დიდი ზომისაა, ოვალური ან ფართო უკუკვერცხისებრი, ძირთან გრძლად შევიწროვებული. . . . . 1. **P. macrophylla** (Alb.) Lomak.

- ყვავილი არ არის ფართოდ გადაშლილი, გვირგვინის ფურცლები ყვითელია, ფოთოლი ზედა მხარეზე მწვანეა, შიშველი, ქვედაზე მონაცრისფროა თეთრი ბუსუსებისაგან, გვერდითი და ხშირად წვერის ნაკვთები, კვერცხისებრია, ძირთან თითქმის გულისებრ ამოკვეთილი ან მომრგვალებულია. . . 2 **P. steveniana** Kem.-Nath. (p. *wittmanniana* Stev).

9. ფოთოლი ორივე ან ქვედა მხარეზე ლეგაა, შიშველი ან ქვედა მხარეზე შებუსვლია, ძალიან წვრილი ( შეუიარაღებელი თვალთ მხელად შესამჩნევ) ბუსუსებით; მისი ნაკვთები უკუკვერცხისებრია, ძირთან გრძლად შევიწროვებული. ყვავილი და მტვრიანას ძაფი ყვითელია, მომწვანო ელფერით, დინგი ვარდისფერი ან მოყვითალო. . . . . 4. **P. mlkosewiitschii** Lomak.

-ფოთოლი ორივე მხარეზე მწვანეა, შიშველი ან ქვედა მხარეზე გაბნეული შებუსვით. მისი ნაკვთები ოვალურია, ფართო ძირით, ოდნავ ჩაზნექილია. მტვრიანას ძაფის და ნასკვის შებუსვა მეწამული წითელია. . . . . 3. **P. wittmanniana** Hartwiss (P. *abcasica* Misz)

შენიშვნა. იორდასალამი პირველად მოხსეიებული აქვს ჯერ კიდევ ჩვენს წ.ა. 372-287 წ. ფილოსოფოსს თეოფრასტეს.

იორდასალამი მოყავდათ სხვადასხვა დროს გამოცემულ სამკურნალო წიგნებში სხვადასხვა სახელწოდებით, მაგრამ გვარი *Paonia* მეცნიერულად დადგენილ იქნა 1753 წელს, როდესაც ლინემ *P. officinalis*-ი ორი ფორმით მოიყვანა: *var.femina* და *var. Mascula*.

გვარის დაყოფა სექციებად პირველად დეკანდოლმა (1824) მოგვცა: ამ გვარის ფარგლებში მან დაადგინა ორი სექცია: Sect. Moutan ბუჩქისებრი წარმომადგენლებით (ჩინეთი) და Sect. Paeon მრავალწლოვანი სახეობებით (ევრაზიის მთიანი ქვეყნები).

შემდგომ ბოტანიკოსთა უმრავლესობა ეყრდნობოდა დეკანდოლის დაყოფას ზოგიერთი ცვლილებების შეტანით. აქ ჩვენ მოგვყავს იორდასალმის სექციები ლ.კემულარია-ნათაძის მიხედვით (1961).

სექცია 1. Flavonia Kem.-Nath.- ყვავილი ყვითელია, მოყვითალო-მოთეთრო, მოყვითალო-მოვარდისფრო, გაშრობისას ყვითლდება (ყვითელი პიგმენტი ფლაონის გამო). ფოთლები ფართო ნაკვეთითაა. ნასკვი და ნაყოფი შიშველი ან ქეჩისებრშებუსვილი.

სექცია . Flavonia-ს წარმომადგენლები გავრცელებულია კავკასიაში, აზიის მთიან ქვეყნებში და იაპონიაში.

მწკრივი 1. Macrophyllae Kem-Nath.-ნასკვი და ნაყოფი შიშველია .ყვავილი მოთეთრო-მოყვითალო ან ყვითელია.გვირგვინის ფურცლები უკუკვერცხისებრია.ფოთლის ნაკვეთი ოვალურია, ორივე ბოლოში შევიწროვებული ან ძირში თითქმის მომრგვალოა.

### 3. გვარ იორდასალამის (*Paeonia* L) სახეობების მორფოლოგიური დახასიათება, ეკოტოპოლოგია და გავრცელება

#### მორფოლოგიური დახასიათება

##### 1. დიდფოთოლა იორდასალამი (*Paeonia macrophylla*)

- დიდი ზომის მცენარეა სიმაღლით 150სმ-მდე, დატოტვილი გახევებული ესურით და ესვის ოდნავ თითისტარისებრი გამსხვილებით; ღერო ღარებიანია, წახნაგებიანი, ხშირშეფოთილი; ფოთლები ორივე მხარეზე მწვაეა, თითქმის ერთი ფერის ან ზედა და ქვედა მხარეზე პრიალა, შიშველი ან ქვედა მხარეზე ძარღვების გაყოლებით ბუსუსებიანი; ფოთლის ნაკვეთი ელიფსურია, მოკლეწვეტიანი, ძირში გრძლად შევიწროვებული ან მომრგვალებული. ყვავილი დიდი ზომისაა, ძირში გრძლად შევიწროვებული ან მომრგვალებული. ყვავილი დიდი ზომისაა, ფართოდაა გაშლილი, გვირგვინის ფურცლები უკუკვერცხისებრია, მოყვითალო-მოთეთრო; სამტვრეები ყვითელია, მათი ძაფები მეწამული წითელი ფერისაა; ნასკვი გრძელია მოგრძო-კვერცხისებრი ან თითქმის ცილინდრული, შიშველი; დინგი იისერია ან ხორცისფერ-წითელი, ასიმეტრიულია, ცალ მხარეს გადახრილი, მომწიებული ნაყოფი ქვევითკენ ოდნავ გადახრილია; თესლი მომრგვალოა, მსვილბადისებრად დანაოჭებული.



ტიპი: აჭარა, დაღმართი მდ. ჩაქვის თავიდან სოფელ აგარასკენ, 800-1000 მ ზღვის დონიდან, 14. VII.1983. ნ. ალბოვი.

### ეკოლოგია

იზრდება ტყის ზედა სარტყელიდან სუბალპურამდე, ტანბრეცილი ტყეების ველობებზე, მდიდარ ფხვიერ ნიადაგებზე და კირქვიანებზე.

### გავრცელება

საქ. სსრ: აფხ: გაგრა (შავროვი); სვან.: დადიანის ქედი (აკინფიევი); სამეგრ.: მთა ოხაჩკუე (კემულარია-ნათაძე, ქუთათელაძე, მანდენოვა და მიქელაძე), მთა ჯვარი (ალბოვი; ხინთიბიძე და მიქელაძე), მთა მიგარია (ე. და მ. სოხაძე; ხინთიბიძე, მიქელაძე), მთა ასხი (კემულარია-ნათაძე, ხინთიბიძე, მიქელაძე); რაჭა-ლეჩხ.: მთა ხვამლი (კემულარია-ნათაძე, ხინთიბიძე, მიქელაძე, მ.სოხაძე), ს. ხრეთსა და საწალიკეს ქედს შორის (ს. სოხაძე), ნაქერალის ქედი, გადასასვლელთან (ბუში, კემულარია-ნათაძე, ა.ქუთათელაძე), ნაერალას ქედი, ჭიმკარასთან (კემულარია-ნათაძე, გ. ჭიჭინაძე); იმერ.: სოფ. ფარცხნალთან, თხმელარის უბანში (ბუაჩიძე); გურ.: სიმლიას მთა (ალბოვი; ე.ქიქოძე), ბახმარო, ზორთიყელი (ალბოვი; ე.ქიქოძე), გადასასვლელთან, გომის მთა (დოლუხანოვი და კაზაროვი); აჭარ.: დაღმართი მდინარე ჩაქვის თავიდან სოფ. აგარასკენ(ალბოვი). კულტივირებულია თბილისის ბოტანიკურ ბაღში (ფომინი), ბაკურიანის ბოტანიკურ ბაღში (კოზლოვსკი).

შენიშვნა. 1893 წ. ნ. ალბოვმა აჭარიდან აღწერა *P. Wittmanniana*-ს ახალი ფორმა, ხოლო სახეობა *P. Wittmanniana* თავის მხრივ დაუქვემდებარა წითელვაფილიან იორდასალამს. 1897 წელს ლ.ლომაკინმა ალბოვის მიერ გამოყოფილი ფორმა, დამოუკიდებელ სახეობამდე აამაღლა და სრულიად სამართლიანად გამოყო კავკასიის წითელყვავილიან იორდასალამსაგან. მომდევნო ბოტანიკოსების უმრავლესობა სახეობა *P. Marcophylla*-ს განიხილავდა, როგორც *P. Wittmanniana* Hartwiss-ის სახესხვაობას. 1942წ. „საქართველოს ფლორის“ პირველ გამოცემაში ამ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებდით. ახალმა მდიდარმა მასალამ დაგვარწმუნა (1961), რომ *P. Macrophylla* Loma. *P. Wittmanniana* hartwiss-ისაგან განსხვავებული დამოუკიდებელი სახეობაა.

### 2. სტევენის იორდასალამი (*Paeonia steveniana*)



● დიდი ზომის მცენარე სიმაღლით 100 სმ-ზე მეტია; ფესურა დატოტვლილია, ახასიათებს რუხი, გრძელი ვიწრო თითისტარისებრი ფესვის დანამატები, ღერო მაგარია და ხშირშეფოთილი; ფოთოლი ორჯერ, სამმაგ განკვეთილი, ზედა მხარეზე მწვანეა, შიშველი, ქვედა მხარეზე ხშირ ბეწვებისაგან მონაცრისფროა; მისი ნაკვეთები უკუკვერხისებრია, მოგრძო ოვალურია ან კვერცხისებრი, ორივე ბოლოში შევიწროებული ან მომრგვალებული ან ძირში თითქმის გულისებრია. ყვავილი ფართოდ არ არის გადაშლილი; ჯამის ფოთლები არათანაბარია; გვირგვინის ფურცლები ყვითელია, უკუკვერცხისებრი, ძლიერ ჩაზნექილი; მტვრიანების ძაფები და სამტვრე ყვითელია; ნასკვი შიშველია მოგრძო-კვერცხისებრი, თანდათან გადადის სვეტში; დინგი ძლიერ ასიმეტრიულია, მოწითალო-იისფერია ან ხორცისფერწითელი. ნაყოფი მოგრძო-კვერცხისებრია, განზე გადახრილი, შიშველი, თესლი მოლურჯო-შავია.

ტიპი: ქართლსა და ახალციხეს შორის, აწყურთან ტყით დაბურულ ხეობაში, 1840, ვიტმანი (subP. *Wittmanniana* Stev.) ინახება ლენინგრადში.

### ეკოლოგია

იზრდება ტყის ზედა სარტყელში, ტყის პირებში, ბუჩქნარებში.

### გავრცელება



საქ. სსრ: ქართ.: ბორჯომის მიდამოებში (მედედევი; ფომინი; სოსნოვსკი), საკოჭავი (კოზლოვსკი, კემულარია-ნათაძე; ბარნაბიშვილი; დუმბაძე; ჩხაიძე), ბანისხევი (სოსნოვსკი, კოზლოვსკი); ბაკურიანის მახლობლად „მხერი“ (კოზლოვსკი); სამხრ. ოს.: წიფლნარში კოზაითს და ერწოს შორის (კუზნეცოვი), ხოდძეხორი, მთა სირხ-ლებერტი, ბუბენახერი (ე. და ნ. ბუში); მესხ.: აწყურთან (ვიტმინი; ლომაკინი, ფომინი).

### 3. ვიტმანის იორდასალამი (*Paeonia wittmanniana*)

● მცენარე 80-100 სმ სიმაღლისაა, ესურა დატოტვილია, ივითარებს პატარა ზომის თითისტარისებრ გამსხვილებულ ფესვებს; ფოთოლი ორმაგ სამფოთოლაკიანია, ორივე მხარეზე მწვანე, შიშველი ან ქვედა მხარეზე შებუსვილი; ფოთლის ნაკვეთები უკუკვერცხისებრია, წაწვეტებულია ან მოზღაგვო, ძირთან თანდათან შევიწროებული. ყვავილი ფართოდაა გადაშლილ ჯამის ფოთლები ხშირი შებუსვითაა; გვირგვინის ფურცლები მოყვითალო-მოთეთროა, ოვალური ან ორივე ბოლოში თითქმის მომრგვალებული; სამტვრეები ყვითელია, მტვრიანების ძაფები მეწამული წითელია; ნასკვი მოგრძო კვერცხისებრია ხშირი მოყვითალო ქეჩისებრი შებუსვით; დინგი მეწამული წითელია, თითქმის მჯდომარე. ნაყოფი ქეჩისებრ შებუსვილია, მოგრძო კვერცხისებრი, გადახრილი; თესლი შავია.

აღწერილია ჩისვიკის (ინგლისში) აგრონომიული საზოგადოების ბაღში ვიტმანის მიერ ახაზეთში შეგროვილი მცენარის ფესურიდან აღმოცენებული ცოცხალი ეგზემპლარების მიხედვით. ინახება ლონდონში.

### ეკოლოგია

იზრდება მთის შუა სარტყელში, ტყის პირებში წიფლნარებსა და ბუჩქნარებში.

### გავრცელება

საქ. სსრ: აფხ.: წებელდა მთა აჩხა; ახუპაჩი, აპიანჩა (ვორონოვი; დუმბაძე), ბზიფის ხეობა, სოხუმიდან 12 კმ-ში რიწას ტბისაკენ მომავალი შოსე (ფურცხვანიძე, ხინთიბიძე), გაგრას მიდამოები (გუსევი).





შენიშვნა: 1846 წელს (Lindley Botanical Register-ში) გამოქვეყნდა ყვითელყვავილიანი იორდასალამი *P. Wittmanniana* Hartwiss-ის სახელწოდებით. 1848 წელს სტევენმა ანალოგიური სახელწოდებით აღწერა ყვითელყვავილა იორდასალამი მესხეთიდან ვიეტნამის მასალით (ქართლსა და ახალციხეს შორის აწყურის მახლობლად მდებარე ხეობიდან). შემდგომში ამ ორი სახეობას ერთმანეთში ურევდნენ, ხოლო ბოლო დროს კავკასიის ყველა იორდასალამი ყვითელი ყვავილით (ლაგოდების *P. Mlokosewitschii*-ს გარდა) გააერთიანებს *P. Wittmanniana*-ს სახელწოდებით.

სრულიად აშკარაა, რომ ჰართლისმა და სტევენმა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილიდან ერთი კოლექტორის მიერ (ვიეტნამის) აღებული ორი განსხვავებული სახეობა ერთი სახელწოდებით აღწერეს. მაგრამ იმის გამო, რომ იორდასალამი ახაზეთიდან აღწერილია უფრო ადრე, პრიორიტეტის თანახმად ჰართლისის სახეობა აფხაზეთიდან ინარჩუნებს პირველ სახელწოდებას, ხოლო სტევენის სახეობას შეუცვალეს სახელწოდება.

#### 4. მლოკოსევიჩის იორდასალამი (*Paeonia mlokosewitschii*)

● მაღალი მცენარეა 50-100 სმ სიმაღლის გახევებული დატოტვილი ფესვურით და ოდნავ გამსხვილებული თითისტარისებრი ფესვებით. ღერო ძლიერ შეფოთლილია; ფოთოლი ორმაგ სამ ფოთოლაკიანია ან ზედაა სამფოთოლაკიანი, იშვიათად სულ ზედა ფოთოლი მთლიანია; ორივე მხარეზე ან ქვედა მხარეზე ლეგაა ან მოლეგო მწვანეა, შიშველი ან ქვედა მხარეზე შებუსვილი ძალიან წვრილი მოკლე ბეწვებით; ფოთლის ნაკვეთები უკუკვერცხისებრია ან მოგრძო უკუკვერცხისებრი, წვერში მომრგვალებული ან მოკლედ წაწვეტებული, ძირთან შევიწროვებული. ყვავილი ფართოდ არის გადაშლილი, გვირგვინის ფურცლები ჩაზნექილია, ოვალური, მოკლე და ფართო ფრჩხილითაა, მოყვითალოა, ხშირად გამოშრობის შემდეგ კიდევ მომწვანოა; სამტვერეები და მტვრიანების ძაფები ყვითელია; დინგი ვარდისებრია, ზოგჯერ მოყვითალო, მჯდომარე, თითქმის სიმეტრიულია; ნასკვი და ნაყოფი მოყვითალო ქერისებრ შებუსვილია. თესლი მომრგვალოა, მოლურჯო-შავი, დანაოჭებულია მსხვილბადისებრად. IV-V 2n=10



აღწერილია თბილისის ბოტანიკური ბაღის კავკასიის ცოცხალი მცენარეების კოლექციიდან, მლოკოსევიჩის მიერ ლაგოდეხიდან გამოგზავნილი მასალიდან აღმოცენებული მცენარეების მიხედვით.

### ეკოლოგია

იზრდება მთის შუა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე, ტყეში, ქვიან ფერდობებზე.

### გავრცელება

საქ. სსრ: კახეთი: ლაგოდეხის ხეობა, კუდიგორას ფერდობებზე (მლოკოსევიჩი; ფომინი; კენიგი; კაპელერი; კემულარია-ნათამე; დოლუხანოვი და კაზაროვა); ქიზ: შირაქი (შრებელი; კეცხოველი).

სსრკ-ის დანარჩენი ნაწ.: დაღესტანი, ანდიის ყოისუს სათავეები (დოლუხანოვი და კაზაროვა).

შენიშვნა: ამ სახეობასთან აიგივებენ ფალიშის ყვითელ იორდასალამს (*P. Tomentosa*) რაც სრულიად უსაფუძვლოა: ფალიშის იორდასალამს ახასიათებს ქვედა მხრიდან გრძელი ბუსუსებისაგან მონაცრისფროდ შეფერილი მკვეთრად გამოხატული ძარღვებიანი უხეში

ფოთლები; ფოთლის ნაკვეთები კვერხისებრია ან ფართოოვალური, ძირითადად კი თითქმის გულისებრი ან მომრგვალებული. ყვავილი ფართოდაა გადაშლილი და გვირგვინის ფურცლები ოდნავ ჩაზნექილი; გავრცელებაც სხვადასხვაა; რაც შეეხება იმ სურათებს რომელიც მოთავსებულია გროსჰეიმის «Флора Кавказа» 1950 და «Флора Азербайджана» (1953), მათ საერთო არაფერი აქვთ ლაგოდეხის იორდასალამთან, რადგან სურათები გადაღებულია თალიშის იორდასალამის *P. Tomentosa*-ს ეგზემპლარებიდან.

სექცია 2. *Paeonia*- ფოთლის ნაკვეთები ფართოა, კიდემთლიანია ზოგჯერ დანაკვეთული, ყვავილი წითელია, მეწამული წითელი ან ვარდისფერი. ნაყოფი გრძელია, ქეჩისებრ შებუსვით.

მწკრივი 1. *Masculae* (stern) kem.-Nath.- ყვავილი წითელია ან ვარდისფერი. ფოთლის ნაკვეთები ფართოა და კიდემთლიანი.

### 5. რუპრეხტის იორდასალამი (*Paeonia ruprechtiana*)

- 50-100სმ-ის სიმაღლის მცენარეა, დატოტვილი მსხვილი ფესვურით და ვიწრო თითისტარისებრი ფესვის გამსხვილებებით; ღერო სქელია, ოდნავ დაკლაკნილი, წახნაგებიანი, ხშირშეფოთილი; ფოთოლი ორჯერ სამად დანაკვეთულია ან სულ ზედა სამფოთოლაკიანია, ტყავისებრია. ორივე მხარეზე თითქმის ერთი ფერის, მწვანეა და პრიალა; ფოთლის ნაკვეთები ფართო უკუკვერცხისებრი ან თითქმის რომბისებრია, წვერში და ძირთან მოკლედ შევიწროვებული. ყვავილი ფართოდაა გადაშლილი, მოვარდისფრო-წითელია; გვირგვინის ფურცლები ფართო უკუკვერცხისებრია, წვერთან ტალღისებრ დაკბილული; სამტვრეები ყვითელია, ძაფები წითელი; ნასკვი მოგრძო კვერცხისებრია, ოქროსფერი ქეჩისებრშებუსვით; დინგი წითელია ფართო ძირით და ცალ მხარეზე დახვეული ვიწრო წვერით. ნაყოფი მოგრძო კვერცხისებრია და გადახრილია, მოყვითალო ქეჩისებრი შებუსვით. IV-V.





ტიპი: იმერეთი, სოფ. ფარცხნალის ახლოს მდებარე თხემელარის ხევი

### ეკოლოგია

იზრდება მთის შუა სარტყლის ტყეებში, ხეებში.

### გავრცელება

საქ. სსრ.: იმერ: ხარაგოული სოფ. ფარცხნალთან მდებარე მთაზე (ბუაჩიძე); ქართ: ბორჯომი (რადე; კოზლოვსკი); პეტრეს ციხე (რადე; კოზლოვსკი); ბანისხევი, ლიკანის ხეობაში (კოზლოვსკი).

შენიშვნა: ჯერ კიდევ რუპრეხტმა (1869) გამოთქვა მოსაზრება, რომ *P. triternata* F. coriifolia შეიძლება დამოუკიდებელ სახეობად გამოიყოს. ეს ფორმა რუპრეხტმა აღწერა გ. რადეს მიერ ბორჯომში შეგროვილი ეგზემპლარების მიხედვით; შემდგომში ეს მცენარე შეაგროვეს 1922-1923 წწ. კოზლოვსკიმ ბანისხევის და ლიკანის ხეობაში, ხოლო უფრო ადრე 1916წ. ი. ბუაჩიძემ ხარაგოულის რაიონის სოფ. ფარცხნალის ახლომდებარე თხემელარის მთაზე.

ამ სახეობის არეალი ჯერჯერობით მოიცავს ბორჯომის ხეობის დასავლეთს და მასთან მოსახლვრე იმერეთის ნაწილს.

### 6. კავკასიის იორდასალამი (*Paeonia caucasica*)

- მცენარე მაღალია, 50-100 სმ სიმაღლის ძლიერ გახევებული დატოტვილი ფესვურით, რომელსაც თითისტარისებრი ან სუსტად განვითარებული თათისებრი გამსხვილება ახასიათებს; ღერო სწორია ან ოდნავ დაკლაკილი, ხშირ შეფოთლილი; ფოთოლი ორივე მხარეზე შიშველია ან ქვევიდან შებუსვლია; ფოთლის ნაკვეთები მოგრძო-ოვალურია, მოგრძო-კვერცხისებრი, ფართო ოვალური ან თითქმის მომრგვალო, წვერში შევიწროვებულია ან მობლაგვო, ძირთან ყვავილი მეწამული წითელია, ჩვეულებრივ ფართოდაა გაშლილი, გვირგვინის ფურცლები უკუკვერცხისებრია; სამტვრე პარკები ყვითელია, მტვრიანების ძაფები მეწამული წითელია;

ნასკვი თეთრი ქერისებრ შებუსვლია; დინგი ასიმეტრიულია, მეწამული ან ხორცისფერ-წითელია. ნაყოფი მოყვითალო-მონაცრისფრო ქერისებრი შებუსვითაა. მწიფე თითქმის დაკიდებულია; ფესვი წითელია და შავი, მწიფე თესლი დანაოჭებულია მსხვილ ბადისებდარ. IV-V  $2n=10$



ტიპი: არ არის ცნობილი «Флора СССР» მიხედვით აღწერილია დასავლეთ ამიერკავკასიიდან.

### ეკოლოგია

იზრდება მთის შუა და ზედა ტყის სარტყელში მუხნარ-ცხილნარში, ტყის პირებში.

### გავრცელება

საქ. სსრ: აფხ.: მთა ჩოფშირთან (ალბოვი) იურევსკოე, წებელდა (ვორონინი); სვან.: ლენტეხი (სომიე და ლევიე); რაჭა-ლეჩხ.: ონსა და ხოტევეს შორის მინდისციხე სოფ ნიკორწმინდასთან (რუპრეხტი), მეკვენა (ბროტერუსი; სომიე და ლევიე; კემულარია-ნათაძე), ნიკორწმინდა და აბანოეთი, სოფ. ახეთის მიდამოები (მ. სოხაძე; კემულარია-ნათაძე); სამეგრ.: სოფ. ლემამგესა და ბარხას მთას შორის (კემულარია-ნათაძე, მ. დოლიძე და ი. მიქელაძე); იმერ.: ყვირილა (ლომაკინი), საქოლიას ქედი, ტყე საბურო, გელათსა და გოდოგას შორის (კემულარია-ნათაძე), ტყიბულის რ-ნი სოფ. ახალ სოფელთან მთა წინწკილაზე (ა. ქუთათელაძე); აჭარა.: ბათუმსა და ახალციხეს შორის, სოფ. დაიჟისფარულთან (სომიე და ლევიე; მ. ჯიქიძე); ქართ.: ბორჯომი (რაღე; სმირნოვი; სოსოვსკი; კოზლოვსკი; ა. ჯავახიშვილი), წაღვერი, ბაკურიანი ( შიშკინი; სოსნოვსკი; კოზლოვსკი; ა. ჯავახიშვილი), ატენის ხეობა, ტანასა და უღელტეხილის შორის (ე. ქიქოძე),

საგურამოს ქედი (კაფიევი; კოლაკოვსკი; გაგნიძე), იალნო (შიშკინი), თბილისი, მარტყოფთან (რუპრეხტი, თბილისი (ჰოპენაკერი), წყნეთი (სმირნოვი); თრიალ.: კოჯორი (ზედეღმეირი; ბარაბიშვილი), თეთრი წყარო (მლოკოსევიჩი), გუდარეხის ტყე (ვრონოვი; ფლორესკი); სამხრ. ოს.: კოზაითოს და ერწოს შორის (კუზნეცოვი), ხოდე ხორი (ე. და ნ.ბუში); გარე კახ.: კაკაბეთი, დვრია (ზ.ყანჩაველი); კახ.: ლაგოდეხის ხეობა (დოლუხანოვი და კაზაროვა).

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: ჩრდ. კავკასია, ყუბანი (ბუში); აზერბ.: ლენქორანი (სტერნი, როგორც P. Masculla Mill.)

შენიშვა. კავკასიის წითელ იორდასალამს დიდხანს აიგივებდნენ ხან ყირიმის იორდასალამთან, რომლის სახელწოდებაა: P. Triternata ან P. daurica. ხან კიდევ სამხრეთ ევროპის სახობა P. corallina-სთან. ბოლო დროს გროსჰეიმმა (1950) იგი შეაერთა მცირე აზიის სახეობა P. Kavachensis-თან.

ჯერ კიდევ ნ. ბუში (1901) სრულიად სამართლიანად უარყოფდა ტიპიური P. corallina-ს არსებობას კავკასიაში, რომელსაც ახასიათებს ლანცეტა და გრძელწაწვეტებული ფოთლის ნაკვთები, მაგრამ მანვე არასწორად დაუქვემდებარა იგი ყირიმის სახეობას.

ლ.კემულარია-ნათაძე, ისევე როგორც ვ.კომაროვი და ნ.შიპჩინსკი (1937) თვლის კავკასიის წითელ იორდასალამს დამოუკიდებელ სახეობად P. Caucasica-ს სახელწოდებით, იმ განსხვავებებით, რომ მისგან გამოყოფს ორ დამოუკიდებელ სახეობას: P. Ruprechtiana და P. Lagodechiana.

## 7. ლაგოდეხის იორდასალამი (*Paeonia lagodechiana*)

● მცენარე 50-100 სმ სიმაღლისაა; ფესვურა დატოტვილია, ივითარებს თითისტარისებრ გამსხვილებებს; ღერო წახნაგებიანია, ხშირშეფოთვლილი; ფოთოლი ორმაგ სამნაკვითიანია, ორივე მხრიდან ან ქვედა მხრიდან ლეგაა, ნაზი და სადაა, სუსტად გამოხატული ძარღვებით; ფოთლის ნაკვთები მოგრძო ელიფსურია, ორივე ბოლოში ან წვეროში მოკლედ შევირწოვებული. ყვავილი ვარდისფერია, ფართოდაა გადამლილი; გვირგვინის ფურცლები უკუკვერცხისებრია და ოდნავაა ჩაზნექილი; სამტვრე პარკები ნაცრისფერია; მტვრიანების ძაფები მეწამულია; ნასკვი მოყვითალო ქეჩისებრშებუსვილია; დინგი წითელია თითქმის სიმეტრიული.



ტიპი: ლაგოდების ნაკრძალი, წინიგორა, ტყეში 10.V.1953. ა. კაზაროვა და ა. დოლუხანოვი.  
ინახება თბილისში.

### ეკოლოგია

იზრდება მთის შუა სარტყლის ტყეებში.

### გავრცელება

საქ. სსრ.: კახ.: ლაგოდების ნაკრძალი (კემულადუა-ნათაძე; დოლუნხანოვი, კაზაროვა).

სსრკ-ის დანარჩენი ნაწ.: დაღესტანი.

შენიშვა: ნაზი მოლეგო ფოთლებით ეს სახეობა ძალიან წააგავს P. Mlokozewitschii-ს, რომლისგანაც კარგად განსხვავდება ვარდისფერი და უფრო დიდი ზომის, ფართოდ გადაშლილი ყვავილი, დინგის, სამტვრეების, მტვრიანების ძაფების ფერით და აგრეთვე ფოთლის ნაკვეთების ფორმით.



სექცია: 3 *Sternia* Kem.-nath.- ფოთლის ნაკვეთები დაკბილულია ან მრავალჯერ განკვეთილია ლანცეტა ან ხაზურ ნაკვეთებად. ყვავილი მეწამული-წითელია, წითელი ან მოვარდისფრო იისფერია. აყოფი ქეჩისებრშებუსვილია, მოკლევანცხისებრია ან ოვალური.

მწკრივი 1. *Hybridae* Kem.-Nath.- ფოთოლი ორჯერ-სამჯერ ფრთისებრია ან დაყოფილია ვიწრო-ლანცეტა ნაკვეთებად.

### 8. მაიკოს იორდასალამი (*Paeonia majko*)

- ფესვურა დატოტვილია, თითქმის ჰორიზონტალურია, ახასიათებს თითისტარისებრი გამსხვილებები; ღერო მაღალია, ხშირშეფოთილი, ქვედა ფოთლებს დიდხანს ინარჩუნებს; ფოთოლი მწვანეა და სამჯერ ღრმად ფრთისებრ დანაკვეთული ა დაყოფილია ვიწრო-ლანცეტა 5-10 მმ. სიგანის ნაკვეთებად; ქვედა ფოთლები უპრო ფართოა ვიდრე ზედა. ყვავილი მსხვილია, მოვარდისფრო-მოწითალო-იისფერია, ფართოდ გადამშლილი, ნასკვი და ნაყოფი თეთრი ან, უფრო იშვიათად, წითელი ბუსუსებისაგან ქეჩისებრშებუსვილი. ნაყოფი მოკლეა და ოვალური.

ტიპი: ქართლი, სოფ. ლამისყანასა და იგუეთს შორის 16.V.1958 წ. ნ. კეცხოველი. ინახება თბილისში.

### ეკოლოგია

იზრდება მთის წინებზე, მუხნარ-რცხილნარი ტყის პირებზე.

### გავრცელება

საქ. სსრ.: ქართ: სოფ.იგოეთთან (ნ. კეცხოველი, თ დუმბაძე; ტ. მენთემაშვილი).



შენიშვნა: ეს სახეობა წააგავს *P. hybrida* Pall-ს რომელიც გავრცელებულია გავლურებულ მდელოებზე, ღია ბალახოვან ან გორაკების ქვია ფერდობებზე ციმბირში, ალტაიში, შუა აზიაში; აღწერილია ბარნაულის მიდამოებიდან. წააგავს აგრეთვე ყირიმის იორდასალამს, რომელიც ვ. მალევემა 1937 წელს მოიყვანა ჰიბრიდული იორდასალამის *P. tenuifolia* x *P. Triternata*-ს სახელწოდებით.

მწკრივი 2. *Fissae* kom.- ფოთლები მრავალჯერ განკვეთილია ვიწრო ლანცეტა ან თითქმის ძაფისებ რნაკვებზე. ნაყოფი ქეჩისებრშებუსვილია, კვერცხისებრია ან მოგრძო. ფესვის გამსხვილებლები მომრგვალო ან თითისტარისებრია.

### 9 ქართლის იორდასალამი (*Paeonia carthalinica*)

- 9. 20-50 (80სმ) სიმაღლის მცენარეა, დატოტვილი ძლიერ გახევებული ფესურით და მასზე თითისტარისებრი გრძელყუნწიანი გამსხვილებებით; ღერო ძლიერ დაღარულია, ხშირშეფოთილი, ღეროს ძირში ფოთლები არ აქვს; ფოთოლი მწვანეა, შიშველი, ფოთლის ნაკვებები ხაზურ-ლანცეტაა 5-10 მმ სიგანის, გაფარჩხული. ყვავილი ფართოდაა გადაშლილი; ჯამის ფოთლები ფართოვალურია; ჯამის გარეთა ფოთლები ფოთლის ხაზური ნაკვებების მსგავსია. გვირგვინის ფურცლები უკუკვერცხისებრია, ძირთან სოლისებრ შევიწროვებულია, წვეროში მომრგვალებული, მუქი მეწამული ფერისაა; მტვრიანას ძაფები მთლიანად მეწამულია ან ზედა ნაწილში მოყვითალოა; ბისაგან ქეჩისებრ შებუსვილია, მოწითალოა. თესლი მსხვილია, ოვალურია, სამტვრე პარკები ყვითელია; ნასკვი კვერცხისებრია, მოოქროსფერო ბუსუსები, ჯერ წვრილწერტილოვანი დანაოჭებული, მწიფე კი პრიალა და სადაა.





ტიპი: ქართლი, სოფ. მუხრანთან 1921წ კეცხოველი. ინახება თბილისში.

### ეკოლოგია

იზრდება მთისწინებსა, გაველებულ ადგილებზე, ეკლიანი ბუჩქნარების და ვერების ფორმაციებში.

### გავრცელება

საქ. სსრ.: ქართ.: გორის რაიონი, სოფ. მუხრანთან დამპალოს გორაკებზე, ბუჩქნარებში (კეცხოველი; კემულარია-ნათამე), ტირმნისი (კეცხოველი); ქიზ. შირაქი (კაკულია, სოხამე, ქებაძე), ქედსა და შავთავას შორის (ზ. ყანჩელი).

შენიშვნა: ქართლის იორდასალამი თავისი მრავალჯერ განკვეთილი ფოთლებით და მუქი მეწამული ყვავილებით ახლოს დგას *P. tenuifolia*-თან, რომელიც უკრაინის ველებიდან არის აღწერილი და აგრეთვე *P. Biebersteiniana* Rupr.-თან რომელიც სტავროპოლის მასივიდანაა ცნობილი, მაგრამ პირველი განსხვავება გვირგვინის ფურცლების მოყვანილობით და ფოთლის გრძელი წვრილი ნაკვთები, მეორისაგან განსხვავდება შიშველი ფოთლებით, წვრილი ნაკვთებით და გავრცელების არეალით.

### 10. წვრილფოთოლა იორდასალამი (*Paenonia tenuifolia*)

● ფესურა მოგრძო, კოჟრისებრი, მოკლეყუნწიანი გამსხვილებებითაა; დერო მარტივია, 10-50 სმ სიმაღლის, ხშირფოთლიანი; ფოთლები ძალია ვიწრო, თითქმის ძაფისებრი, 1-2 მმ სიგანის ნაკვთებითაა. ყვავილები დიდი ზომისაა 3-5 სმ დიამეტრის; გვირგვინის ფურცლები მუქი წითელი ფერისაა, უკუკვერცხისებრი ფორმის, წვერსა და ძირში მომრგვალებული, სამტვრეები ყვითელია, მტვრიანების ძაფები მოწითალო ფერისაა, ნასკვი და მოუმწიფებელი ნაყოფი სქლადაა წითელი ქერისებრი ბეწვით შემოსილი. ნაყოფი მოკლე-კვერცხისებრი ან ოვალური ფორმისაა, ოდნავ გვერდზეა გადახრილი, მურა-წითელი შებუსვით. თესლი შავი-მურა ფერისაა, პრიალა.



### ეკოლოგია

იზრდება ველებზე, ბუჩქნარებში.

### გავრცელება

საქ. სსრ.: ქართ. სოფ. სამთავისი (ვოლჩანეცკი), სოფ. წილკანი (დუმბაძე), იგოეთი (კეცხოველი), ტირმნისი (კეცხოველი); ქიზ.: შირაქი, ლევისწყალი (კახელიძე, გავრილენკო; სოხაძე, კაკულია).

სსრკ-ის დანარჩენ ნაწ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ. აზერბ.; ევრ. ნაწ. საერთო გავრც.: შუა ევრ.

**ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა.** გვარი იორდასალამის ყველა სახეობა მაღალი დეკორაციულია და დიდ გამოყენებას პოულობს მეყვავილბეობაში, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჩინური და იაპონური იორდასალამი, თუმცა სილამაზით ჩვენი

იორდასალამი მათ არ ჩამოუვარდებათ (ჩინური ბუჩქისმაგვარის გარდა) და ზოგიერთი მათგანი უკვე შეტანილია კულტურაში: *P. mlokosewitschii* Lomak. 1897 წლიდან შვეიცარიაში, ხოლო *P. wittmanniar a Hartwis* 1846 წლიდან ინგლისში, საიდანაც გავრცელდა ევროპის სხვა ქვეყნებში.

ჩვენში იორდასალამის კულტურაში შეტანის პირველი პიონერები იყვნენ ქ. თბილისის მახლობელი სოფლების მშრომელები, რომლებსაც საამისოდ დიდი რაოდენობით ჩამოაქვთ ქ. თბილისსში ქართლის იორდასალამი.

სამეცნიერო დაწესებულებებიდან იორდასალამის ბიოლოგიის შესწავლაზე და კულტურაში შეტანაზე თბილისის ბოტანიკურ ბაღში მუშაობდა თამარ დუმბაძე . ამჟამად მუშაობას აგრძელებენ იშვიათი და გადაშენებადი განყოფილების თანამშრომლები. აწ განსვენებული გ. მატვევის მიერ გამოყვანილი დეკორაციული ჰიბრიდული იორდასალამი- *P. tenuifolia* x *P. caucasian* Maiw. 10 წელზე მეტია რაც ხარობს საქ. მეცნიერებათა ბოტანიკის ინსტიტუტის ცოცხალი ფლორის გაყოფილებაში.

## დასკვნა.

კავკასიიდან ცნობილი 12 სახეობიდან საქართველოში გავრცელებულია იორდასალამის 10 სახეობა. ამ სახეობებიდან უფრო ფართო გავრცელებით ხასიათდებიან კავკასიისა და რუპრეხტის სახეობები. უფრო ვიწრო არეალის სახეობებია ლაგოდეხისა (*Paeonia lagodechiana*) და და მლოკოსევიჩის იორდასალამი (*Paeonia mlokosewitschii*), თუმცა ისინი ასევე გავრცელებულია მეზობელი დაღისტნის ტყიან და ქვიან ეკოტოპებზე. ასევე აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ კასპის რაიონის, სოფელ ლამისყანის მთისწინების მუხნარ- რცხილნარ ტყეებში იზრდება მაიკოს (*Paeonia majko*) და ქართლის იორდასალამი (*Paeonia carthalinica*). აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს არ ცდება (გორის რაიონი, სამთავისი, ტირმნისი, იგოეთი; დედოფლის წყაროს რაიონი, შირაქი, ლეკის წყალი) წვრილფოთოლა იორდასალამის (*Paeonia tenuifolia*) არეალი.

ძირითადად დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთი, აჭარას, რაჭა) მოიცავს დიდფოთოლა (*Paeonia macrophylla*) და სტევენის იორდასალამის (*Paeonia steveniana*) არეალი. სტევენის იორდასალამის არეალი მდებარეობს ქართლსა და ახალციხეს შორის (აწყურის ტყის ეკოსისტემა ) და ასევე ბაკურიანის სუბალპური სარტყლის წიფლნარების ტყის პირებში.

იორდასალამის სახეობათა ფენორითმიკაზე დაკვირვებამ დაადასტურა, რომ ყველაზე ადრე აღმოცენება მლოკოსევიჩის იორდასალამმა (*Paeonia mlokosewitschii* ) და შესაბამისად ყვავილობაც ამავე სახეობამ დაიწყო; ყველაზე გვიან აღმოცენდა და ყვავილობა დაიწყო მაიკოს იორდასალამმა და დიდფოთოლა იორდასალამმა; უფრო მეტი ნაყოფმსმობიარეობით (კოლოფების რაოდენობით) ხასიათდებოდა კავკასიის იორდასალამი (*Paeonia caucasica*),

რუპრეხტის იორდასალამი (*Paeonia ruprechtii*) და მლოკოსევიჩის იორდასალამი (*Paeonia mlokosewitschii*).

მომავალში, საინტერესო იქნება იორდასალამის ბუნებრივი პოპულაციებისა და ბოტანიკურ ბაღში არსებული ცახეობების სავეგეტაციო პერიოდების ურთიერთშედარება. აღნიშნულის 2-3-5 და ასე შემდეგ წლიანი შედარება, გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის გლობალური დათბობის ცვლილებაზე, როგორც თბილისის მიდამოებში ასევე სხვადასხვა რეგიონის განსხვავებულ ბიომებსა და ვერტიკალურ სარტყელში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მცენარეთა სარკვევი, ტ. II, თბილისი, 1964.
2. საქართველოს ფლორის მე-2- გამოცემის მე-2- ტომი, თბილისი, 1973
3. Sh. Shetekauri & M. Jakoby, Flowers & Trees of Caucasia, Instambul, 2009
4. Hong De-Yuan, Peonies of the World. Taxonomy and Phytogeography. Royal Botanic Gardens Kew, UK 2010წ.